№ 159 5 ღვინობისთვე, ოთხშაბათი 1866—1877 5 ღვინობისთვე, ოთხშაბათი № 159

ᲧᲝᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дрозба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, ხომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—[illegible] კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწორდეს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ-ᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ

ᲧᲐᲠᲐᲘᲐᲚᲘ, 4 ოქტომბერს. 2-სა და 3-ს ოქტომბერს ბრძოლის საქმე ესე იყო: 2 ოქტომბერს ღენ. ლაზარევის კოლონამ გარს-შემოუარა მტერს, აიღო ᲝᲠᲚᲝᲙᲘᲡ მთები, დაამარცხა ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარი და ᲧᲐᲠᲡᲘᲡᲐ და ᲕᲘᲖᲘᲜᲥᲕᲔᲘᲡᲐᲙᲔᲜ განდევნა ის.

რადგან ამნაირად ერთს ნაწილს მტრის ჯარისას უკან დასაწევი გზა უკვე გადაჭრილი ჰქონდა, ამის გამო 3 ოქტომბერს დანიშნული იყო იერიშით მისვლა მთელ მუხთარ-ფაშის არმიაზედ, რომლისაც უმთავრესს პოზიციას ᲐᲕᲚᲘᲐᲠᲘᲡ მთა შეადგენდა.

დილის 6 საათზე ჩვენი ჯარები ყველა მხრით მიადგნენ მტერს. ᲚᲔᲜᲘᲠᲐᲚᲘ ᲑᲔᲘᲛᲐᲜᲘ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ, ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ და ᲠᲘᲐᲢᲘᲒᲝᲠᲡᲙᲘᲡ პოლკით შესანიშნავის იერიშით მიადგა ᲐᲕᲚᲘᲐᲠᲡ და დაიჭირა იგი.

ᲐᲛ მთის დაპყრობის შემდეგ, მუხთარ-ფაშის არმიას გზა გადაჭრილი ჰქონდა. ᲔᲠᲗᲘ ნაწილი ამ არმიისა, რომელიც ᲧᲐᲠᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ გაიქცა, დამარცხებული იყო ღენ. ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲕᲘᲡ და ᲑᲔᲘᲛᲐᲜᲘᲡ ჯარებისაგან საღამოს 5 საათზე; ჩვენებმა აიღეს აქ 4 ზარბაზანი და რამდენიმე ათასი კაცი ტყვედ ჩაგვივარდა ხელში.

ᲐᲛᲐᲕᲔ დროს მარჯვენა ფლანგის ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ არმია, რომელსაც სამი დივიზია შეადგენდა, ᲐᲚᲐᲯᲘᲓᲐᲛ განდევნილი სამის მხრით გარშემორტყმული იყო და საღამოს 8 საათზე, დიდის ზიანის შემდეგ, იძულებული შეიქნა თოფ-იარაღი დაეყარა და დაგვმორჩილებოდა.

ᲑᲔᲕᲠᲘ ტყვეები, 32 ზარბაზანი და უანგარიშო სამხედრო მასალები ჩაგვივარდა ხელში.

ჩვენ შედარებით ცოტა ზიანი მოგვეცა.

მუხთარ-ფაშა ᲧᲐᲠᲡᲨᲘ გაიქცა.

ᲧᲐᲠᲐᲘᲐᲚᲘ, 3 ღვინობისთვეს. (ოფიციალური). მუხთარ-ფაშის არმია დღეს სრულიად დავამარცხეთ; ᲧᲐᲠᲡᲘᲡ გზა შეკრული აქვს. წართმეული ზარბაზნებისა და ტყვეების რიცხვი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

ᲧᲐᲠᲐᲘᲐᲚᲘ, 3 ღვინობისთვეს. („ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ კორრესპონდენტის). დღეს დილის 9 საათზე ჩვენი ჯარები მუხთარ-ფაშის წინაღმდეგ იყო გაგზავნილი. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲒᲠᲔᲜᲐᲓᲔᲠᲘᲡ დივიზიამ, ორი საათის ბრძოლის შემდეგ, აიღო უმთავრესი პოზიცია ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარისა—ᲐᲕᲚᲘᲐᲠᲘᲡ მთა. მუხთარ-ფაშის არმია სრულიად დამარცხებულია. ჩვენ ჩაგვივარდა ხელში იმათი ზარბაზნები, რამდენიმე ასი ტყვე, ბევრი თოფები და სურსათი. მტერს უნდოდა ᲧᲐᲠᲡᲘᲡᲐ ანუ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ წასულიყო; მაგრამ უკუქცეულ იქმნა და არეულ-დარეულად გაიქცნენ ᲧᲐᲚᲘᲖᲛᲐᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ჩვენ დავიჭირეთ: ᲐᲚᲐᲯᲐᲓᲐᲚᲘ, ᲐᲕᲚᲘᲐᲠᲘ, ᲘᲐᲚᲜᲘ, ᲝᲠᲚᲝᲙᲘ და ᲕᲘᲖᲘᲜᲥᲕᲔᲘ. Д. Т. მთავარსარდალმა და კორპუსის კამანდირმა ბრძოლის ველზე გაათიეს ღამე. ჩვენი ჯარები მტერს მისდევენ.

—

ᲞᲐᲠᲘᲫᲘ, 3 (15) ოქტომბერს. ᲐᲘ შედეგი გუშინდელის კენჭის-ყრისა: 195 ოფიციალური კანდიდატია დეპუტატად ამორჩეული. თერთმეტს ალაგას ხელ-ახლად უნდა მოხდეს კენჭის-ყრა; ჰფიქრობენ, რომ ამ თერთმეტში ათას ალაგას მაკმაჰონის კანდიდატი იქნება ამორჩეულია; თორმეტს ამორჩევითს მაზრაში როგორ გათავდა კენჭის-ყრა, ჯერ არ ვიცით. დანარჩენს 315 მაზრაში სულ რესპუბლიკელი კანდიდატები არიან არჩეულნი.

დაახლოებულის ანგარიშით, მომავალს ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ იქნება—320 რესპუბლიკელი დეპუტატი და 210 ბონაპარტისტები, ლეგიტიმისტები და ორლეანისტები.

შინაგანი საქმეების მინისტრი—ᲤᲣᲠᲢᲣ და გარეშე საქმეების—ᲓᲔᲙᲐᲖᲘ აგრეთვე ამორჩეული არიან დეპუტატებად.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ

მუხთარ-ფაშასაგან სტამბოლში გაგზავნილი ტელეგრამმა ამნაირის სიტყვებით აგვიწერს ჩვენ ჯართან იმის უკანასკნელს შეტაკებას:

„23 ენკენისთვეს რუსის მთავარმა არმიამ მიატოვა ᲫᲐᲑᲐᲮᲘ და იმავე დღეს ამათ ჯარები ᲧᲐᲠᲐᲗᲛᲐᲚᲐᲡ (ᲧᲐᲠᲐᲘᲐᲚᲘᲡ) ძირში დაბანაკდნენ, ჩვენი განაკების პირდა-პირ. ᲫᲐᲑᲐᲮᲐᲨᲘ მხოლოთ 5 ბატალიონი დასტოვეს. ᲑᲝᲚᲓᲘᲠᲔᲕᲐᲜᲗᲐᲜ, ᲣᲘᲖᲘᲚᲔᲕᲐᲜᲗᲐᲜᲐ და ᲝᲚᲣᲖᲚᲘᲨᲘ მტერი სრულებით აღარ არის.“

—

ᲐᲛᲐᲕᲔ ბრძოლის გათავების შემდეგ, 24 ენკენისთვეს, მუხთარ-ფაშას შემდეგი დეპეშა გაუგზავნია აგრეთვე სტამბოლში:

„ᲓᲦᲔᲡ რაშედ-ფაშამ ისევ დაიპყრო ᲓᲘᲓᲘ ᲘᲐᲚᲜᲘᲡ მთა, რომელიც რუსებმა მიატოვეს. რაშედ-ფაშის კალონა დაეცა აგრეთვე მტერს ᲧᲐᲠᲡ-ᲩᲐᲘᲖ ᲞᲔᲠᲙᲘᲝᲗᲘᲡᲗᲐᲜ და ᲐᲩᲐᲥᲐᲚᲐᲡᲗᲐᲜ. ᲝᲡᲛᲐᲜᲘᲡ ცხენოსანი ჯარი და ᲕᲘᲖᲘᲚ-ᲗᲐᲤᲘᲡ კორპუსი წავიდნენ უკან დაბრუნებულ მტრის გზის გადასაჭრელად ᲭᲐᲠᲐᲑᲔᲚᲗᲐᲜ.“

—

ᲫᲘᲓᲔᲕ ამავე ბრძოლის შესახებ რუსულს გაზეთს „Голосъ“-ში (№ 225) იწერებიან:

„ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ ჩვენი ჯარი „უწყლობის გამო“ 22 ენკენისთვეს ისევ დაბრუნებულა ᲓᲘᲓᲘ ᲘᲐᲚᲜᲘᲡ მთიდამ, რომლის დაჭერა ჩვენ 3,500 კაცად დაგვიჯდა. ᲐᲛ ომის გამოცხადების შემდეგ, ჩვენი და ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარები თითქმის მუდამ ᲧᲐᲠᲡᲡᲐ და ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲡ შუა მოქმედებენ და დატრიალებენ ᲘᲐᲚᲜᲘᲡᲐ და ᲐᲚᲐᲯᲘᲡ მთებისკენ,—და მხოლოთ ახლა აღმოჩნდა, რომ აქ ჯარისათვის წყალი არ ყოფილა. ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, როგორ იყვნენ ამდენ ხანს იქ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარები გაჩერებული, თუკი წყალი არა ჰქონდათ.“

—

ᲘᲛ ბრძოლის თაობაზე, რომელიც გასული თვის 15-ს იყო ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ფაშის და ღენ. ᲢᲔᲠ-ᲚᲣᲙᲐᲡᲝᲕᲘᲡ ჯარს შუა, უცხო ქვეყნის გაზეთებში, სხვათა შორის, „Journal de Genève“-ში, შემდეგი დეპეშა არის დაბეჭდილი:

„27 (15) სექტემბერს ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ფაშა თორმეტის ბატალიონით დაეცა ღენ. ᲢᲔᲠ-ᲚᲣᲙᲐᲡᲝᲕᲘᲡ ჯარს, რომელიც ᲩᲐᲠᲣᲮᲩᲘᲨᲘ იყო დაბანაკებული. ᲮᲐᲜ�გრძლივი ბრძოლისა და გაცხარებული სროლის შემდეგ, ოსმალოები იძულებული შეიქმნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. ᲝᲠᲗᲐᲕᲔ მხარეს ამ შეტაკების დროს დიდი ზიანი მიეცათ. რუსების მხრით, სხვათა შორის, ღენ. ᲓᲔᲕᲔᲚᲘᲐ დაჭრილი.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲓᲐᲛ 18 ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲔᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲦᲔᲜ. ᲢᲔᲠ-ᲚᲣᲙᲐᲡᲝᲕᲐᲛ ᲒᲐᲠᲔᲙᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲚᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲐᲥᲔᲗᲙᲔᲜ ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲝ ᲐᲚᲐᲠ ᲛᲝᲠᲘᲠᲝᲑᲔᲑᲐᲗ.

—

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „Голосъ“-ᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲡ (226) ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲐᲢᲠᲘᲐᲓᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲚᲐᲒᲘ ᲐᲛᲝᲕᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ:

„ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲛᲝᲠᲔᲙᲐ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲥᲪᲔᲣᲚ ᲐᲤᲣᲮᲐᲖᲔᲑᲡ ᲓᲐᲠᲩᲐᲗ, ᲓᲐ ᲐᲮ, ᲑᲐᲖᲐᲠᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲧᲝᲤᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲡᲐᲣᲑᲘᲚᲓᲘᲗᲠᲝᲗ, ᲐᲛ ᲒᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲫᲝᲣᲕᲘᲓᲐᲗ ᲩᲮᲣᲑᲘ; ᲡᲐᲜᲐᲛ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲩᲮᲣᲑᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲘᲪᲐ; ᲨᲔᲘᲥᲜᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲥᲘᲜᲐᲜ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲝᲗᲤᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲐ. ᲮᲛᲐᲚ-ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲓᲔᲓᲔᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲒᲐᲥᲪᲔᲣᲚ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲐ ᲛᲘᲡᲬᲕᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲐᲰᲙᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲮᲝᲪᲓᲜᲔᲜ.

„ᲐᲛ ᲐᲧᲐᲚ-ᲛᲐᲧᲐᲚᲛᲐ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲐᲤᲗᲮᲝ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲦᲐ ᲓᲣᲥᲜᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲑᲘ ᲓᲐᲙᲔᲢᲔᲡ. ᲑᲝᲚᲝᲚᲝᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲨᲘ 50 ᲗᲣᲠᲛᲔ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲣᲢᲐᲪᲜᲘᲐᲗ, ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲧᲮᲣᲑᲘ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲢᲔᲮᲘᲚᲐ. ᲡᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲜᲔᲢᲐᲕᲘ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ.?“

—

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „Standard“ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲚᲘᲡᲢᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ 1,000 ᲙᲐᲪᲘ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲡ ᲯᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲣᲜᲐᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ ᲠᲣᲛᲘᲜᲘᲐᲨᲘᲝ. ᲒᲝᲠᲜᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡᲓᲐᲛ ᲛᲣᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲐᲛ ᲙᲘ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲚᲘᲡᲢᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲮᲘᲓᲘ ᲒᲐᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲘᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝᲤᲜᲔᲜᲝ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲔᲗ, ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲐ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲔᲡᲝ.

—

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „Голосъ“-ᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲘᲢᲔᲜᲓᲐᲜᲢᲝ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ 520,000 ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲝᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲯᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ; ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ ᲓᲣᲜᲐᲘᲖᲔᲓ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲐᲛ ᲭᲐᲛᲐᲓ 520,000 ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ.

—

ᲠᲣᲡᲣᲚᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ „ᲐᲮᲐᲚ ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ“ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲐ 27 ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲒᲝᲠᲜᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡᲓᲐᲛ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ:

„ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜ-ᲤᲐᲨᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ, ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲧᲕᲘᲐ-ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲓᲐᲡᲮᲛᲐᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ.

„ᲨᲘᲠᲘᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ ᲐᲠᲨᲘᲜᲨᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲝᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ.

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲛᲗᲠᲝ ᲢᲐᲜᲗᲡᲐᲪᲛᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ.“

ᲐᲛᲘᲕᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲕᲐᲠᲢᲘᲠᲐ ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜ-ᲤᲐᲨᲐᲡ ᲘᲕᲐᲜ-ᲩᲘᲝᲚᲘᲣᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲢᲐᲜᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲥᲔᲓᲐᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲘᲡ (ᲪᲔᲡᲐᲠᲔᲕᲘᲩᲘᲡ) ᲯᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲓᲐᲡᲮᲛᲐᲝ.

—

ᲔᲜᲘᲡ „Politiche Correspondenz“-ᲨᲘ ᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ:

„ᲣᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲥᲔᲗ-ᲤᲐᲨᲐᲛ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲐ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲕᲜᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲒᲖᲐᲕᲜᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲥᲔᲗ-ᲤᲐᲨᲐᲛ 1,200 ᲣᲠᲔᲛᲘ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲡᲐᲡᲛᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲢᲧᲕᲘᲐ-ᲬᲐᲛᲚᲘᲗ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲠᲚᲔᲕᲜᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜ 12,000 ᲙᲐᲪᲘ.

„ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲗ ᲙᲘ ᲨᲔᲕᲔᲥᲔᲗ-ᲤᲐᲨᲐ ᲡᲝᲩᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲚᲔᲕᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔᲓ ᲓᲒᲐᲡ ᲝᲠᲮᲐᲜᲘᲨᲘ ᲘᲛ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲓᲐᲛ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲨᲔᲔᲫᲚᲝᲡ ᲠᲚᲔᲕᲜᲘᲡᲨᲘ, ᲓᲐᲭᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ-ᲒᲕᲐᲠᲐᲓ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲝᲡᲛᲐᲜ-ᲤᲐᲨᲐᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲥᲔᲗ-ᲤᲐᲨᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲝᲠᲮᲐᲜᲘᲨᲘ 40,000 ᲙᲐᲪᲡ ᲛᲝᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲡ.“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲛᲣᲰᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲨᲣᲐᲓᲦᲔᲖᲔ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲡ-ᲔᲠᲗᲘ ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲐᲜᲘ ᲘᲡᲠᲝᲚᲔᲡ. ᲡᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲑᲝᲠᲝᲨᲘ ᲛᲝᲚᲔᲕᲜᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲐᲩᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ.

*** „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ (№ 239) ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲓᲐᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲣᲐᲒᲣᲚ �გᲣᲑᲔᲠᲜᲘᲔᲑᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ 1000 (ᲐᲗᲐᲡᲘ) ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲛᲗᲘᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲔᲜᲓᲐᲗ.

*** ᲑᲐᲥᲝᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲝᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ:

„ᲓᲐᲦᲔᲡᲢᲐᲜᲨᲘ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲑᲐᲥᲝᲓᲐᲛ ᲓᲐᲠᲣᲑᲐᲜᲓᲨᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ 300 ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲓᲐᲠᲣᲑᲐᲜᲓᲘᲓᲐᲛ.

„ᲐᲛ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲡᲝᲑᲘᲗ, ᲒᲐᲡᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲛ ᲓᲐᲠᲣᲑᲐᲜᲓᲡ ᲬᲐᲡᲣᲚᲘ ᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲖᲘᲓᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲕᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ.“

*** ᲚᲔᲙᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲓᲐᲛ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲔᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲥᲔᲗᲙᲔᲜ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲔᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲠᲐ ᲘᲡᲛᲘᲡ-ᲠᲐᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲮᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡᲝ.

ᲣᲕᲐᲠᲔᲚᲨᲘ, ᲖᲐᲥᲐᲗᲐᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲓᲐ ᲚᲐᲒᲝᲓᲐᲮᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲫᲘᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ; ᲮᲐᲚᲮᲘ ᲠᲘᲒ-ᲠᲘᲒᲐᲗ ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲝᲑᲡ ᲦᲐᲛᲘᲗ, ᲓᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲣᲕᲐᲠᲔᲚᲨᲘ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜᲝ ᲓᲐ ᲚᲐᲒᲝᲓᲐᲮᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ „ᲙᲐᲠᲔᲨᲘ“ ᲓᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲬᲐᲛᲡ ᲚᲔᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲔᲚᲘᲐᲜᲝ.

ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲮᲛ., ᲠᲝᲛ ᲚᲔᲙᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲐᲪᲘᲠᲝᲑᲔᲜ ᲘᲥᲘᲗᲙᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲮᲛᲐᲡ: ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲖᲐᲥᲐᲗᲐᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲓᲐ ᲚᲐᲒᲝᲓᲐᲮᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜᲝ, ᲠᲝᲛ ᲚᲔᲙᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲗᲝᲗᲤᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲡᲣᲚ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡᲐᲗ.

ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲒᲐᲖᲕᲘᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲮᲛᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲭᲝᲠᲔᲑᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲘᲗᲕᲐᲚᲬᲝᲡ...

*** ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲪᲣᲪᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲡ ᲡᲐᲣᲧᲐᲡᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲭᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐᲗ. ᲑᲐᲖᲔᲗᲡ „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲐᲪ“ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲙᲘᲠᲐᲡ, ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲔᲠᲗᲘ ᲤᲣᲠᲒᲣᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲜᲘᲜᲔᲑᲓᲐᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗᲐᲜ.

ᲠᲐᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲥᲕᲐ ᲔᲭᲘᲠᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ ᲛᲐᲠᲗᲘᲗᲔᲑᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ ᲓᲘᲓᲐᲗ ᲛᲐᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

*** ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲮᲛᲐ, ᲠᲝᲛ, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ-ᲒᲕᲐᲠᲐᲓ, ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘᲐᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲡᲐᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲘᲥᲐᲣᲠ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲓᲘᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲪᲡᲐᲝ. ᲐᲚᲑᲐᲗ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲖᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ, ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ.

—

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘ, 30 ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔᲡ. ᲬᲣᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲓᲐᲛ ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ:

ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲘᲡ ᲝᲠᲡ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲛᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲣᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲡ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲕᲐ. ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲒᲐ-

მომძიებელის ოთახში და არც ერთი საქმე გამომეძიებელის კამერაში არ გადარჩენილა.

ავაზაკი, როგორც სჩანს, ფანჯრიდამ შესულა ოთახში და ნეოთით წაუკიდნია ცეცხლი.

მომრიგებელი სასამართლოს კანცელარიიდამ კი გადაარჩინეს ყველა საქმეები. სახლი ეკუთნის აზნაურს ივანე ციფიანს და აქვს შვიდი ათას მანეთად ცეცხლის ზიანისაგან მზღვეველ საზოგადოებაში შეტანილი.

თუმცა ბევრჯერ გამოუცხადებია გამომეძიებელს — ყურადღება მიექციათ მისი კამერისათვის, სტავნები აებათ ფანჯრებზე; მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება; ოთახი თითქმის პირღია იყო. ბევრჯერ გატეხეს ეს ოთახი და გამოძიებული საქმეები გაიტანეს; მაგრამ მაინც არავინ აქცევს ყურადღებას. სუდის კანცელარიაშიაც სულ დაიწოდა საქმე, რომ სუდის სეკრეტრის ჩხეიძის მამაცობას არ გარდაერჩინა.

მეორე: უვირილის კომანდის უნტერ-ოფიცერმა მოიკლა თავი. თოფი ესროლა პირ-და-პირ გულში, ტყვიამ ელვასავით გაურბინა გულში და მეორე გვერდში გავიდა. მიზეზი ყოფილა სახელმწიფო ფულის შემოხარჯვა. საწყალი ოც და-ხუთი მანეთისათვის რაზე იკლამდა თავს, თუ ასი-ათასი მანეთის შეკვრეხისათვის არავის მოუკლამს თავი?...

და მესამე ერთმა კანდუქტორმა ბურულმა მოთმინებიდამგამოსულმა,გამოუცხადა ომი აქაურ რკინის გზის სტანციის ნაჩალნიკს სდვა ყბაში მუშტი და იქვე წააგორა. ნაჩალნიკი ისრაელთაგანია; მოეხმარა მისი თანაშემწე ისრაელიანე. ომი ხუთ მინუტს გაგრძელდა. ორთავე მხარე თავ-თავის პოზიციებზე დარჩნენ. ბამარჯვება, თუმცა რეზერვში არავინ ყავდა, ბურულს დარჩა. დამარცხებული კი, თუმცა დამხმარებელი რეზერვში ბევრი ჰყვანდა, ნაჩალნიკი დარჩა. დაიჭრა ნაჩალნიკი სტანციისა, გაიკაწნა მისი თანაშემწე. მტერი ბარგის პოეზდით ფოთისკენ წავიდა. სტანციის ნაჩალნიკს ექიმმა ციე-ციე სადებები დაუნიშნა ყბებზე შემოსადებათ....

X X

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ბასულს კვირას, 2 (14) ღვინობისთვეს მთელს საფრანგეთში უნდა ყოფილიყო მომავალი ნაციონალური კრების დეპუტატების ამორჩევა. ბუშინდელს „დროებაში“ დაბეჭდილმა ტელეგრამებმა გვაცნობა 235 ამორჩევის შედეგი; ამ 235 დეპუტატში 164 რესპუბლიკელი ამოურჩევიათ და 71 კონსერვატორი, ე. ი. ოფიციალური კანდიდატი. დეპეშა ამბობს, რომ, როგორც ეტყობა, იმ 363 დეპუტატში, რომელნიც დათხოვნილ ნაციონალურს კრებაში რესპუბლიკურ პარტიას შეადგენდნენ და რომელთაც ხელ-ახლად ამორჩევას ცდილობენ ახლა საფრანგეთის რესპუბლიკელები, შეიძლება მხოლოთ 24 დეპუტატი არ იქმნეს ამორჩეულია; მაგრამ ნაცვლად ათს ალაგას, საცა ადრე მონარხისტები იყვნენ დეპუტატებად, რესპუბლიკელებს ამოირჩევენო.

ამნაირად შესაძლებელია, რომ რესპუბლიკელებმა 15—25ალაგი დაკარგონ მომავალს პალატაში; მაგრამ, რადგან ისინი 250-მდინ იქნებიან, უმრავლესობა მაინც კიდევ იმათკენ იქნება.

ძარგათ ჩასაფიქრებელი და თან დასაღონებელი მოვლენა იქნება ეს ამ გვარი კენჭის-ყრის დაბოლოება მაკ-მაჰონისა და მის ახლანდელ სამინისტროსათვის, რომელნიც ყოველ გვარ ისეთს საშუალებას ხმარობდნენ, ხალხის მოსატყუებელად და თავის კანდიდატების გასაყვანათ, რომელთა ხმარებასაც თვით ნაპოლეონი მესამეც კი თაკილობდა. ზოგან აფთხობდნენ, აშინებდნენ, ემუქრებოდნენ ხალხს; ზოგან ატყუებდნენ, რომ გადასახადს მოგიკლებთ, ახალ გზებსა და ხიდებს გაგიკეთებთო; ზოგან ეფერებოდნენ, ზოგან ძალას ატანდნენ,—ოღონდ იმათი (ოფიციალური) კანდიდატი ამოერჩიათ როგორმე და რესპუბლიკელი კანდიდატები კი დაემარცხებინათ. სამღვდელობა საყდრებში უქადაგებს და თურმე ხალხს, რომ უეჭველად მაკ-მაჰონის კანდიდატი ამოარჩიეთო; დეპარტამენტებში თითო მოხუცებული და თითო ახალგაზდა ლამაზი პატერები გაუგზავნიათ მეკენჭეებისა და იმათ ოჯახობის გადასაბირავად. ეპისკოპოზები ეპისტოლებს აგზავნიდნენ და ავრცელებდნენ მთელს საფრანგეთში მაკ-მაჰონის სასარგებლოთ.

რესპუბლიკელები კი ყოველის მხრით შეეიწროებულნი იყვნენ ამ კენჭის-ყრის დროს; იმათ თამამად ლაპარაკი არ შეეძლოთ კრებებში, თამამად წერა გაზეთებში.

და თუ ყველა ამის შემდეგ, რესპუბლიკელებმა კიდევ თავის 250 დეპუტატის ამორჩევა მოახერხეს, მაშინ კი თვით ბრმისთვისაც აშკარად დამამტკიცებელი იქნება ეს გარემოება, რომ საფრანგეთის ხალხს ნამდვილი რესპუბლიკა ჰსურს და რესპუბლიკელებისაგან მმართვა თავის სახელმწიფო საქმეებისა.

სერბია

სერბიის სატახტო ქალაქიდამ ბელგრადიდამ ნემეცურს გაზეთს „National Zeitung“-ში შემდეგ ამბავს იწერებიან სერბიის და რუსეთის ერთმანეთში მოლაპარაკების თაობაზე:

„თუმცა რუსეთსა და სერბიას შუა მოლაპარაკება ახლაც მიდის, მაგრამ როგორც ეტყობა, ამ მოლაპარაკებას ხეირიანი დასასრული არ ექნება. სერბია თხოულობს, რომ რუსეთმა ომში მონაწილეობის მიღებისათვის აღუთქვას იმას: ა) სრულიად განთავისუფლება ოსმალეთის დამოკიდებულებისაგან, ბ) ძველი სერბიის შეერთება და გ) ბრძოლის დროს ყველა სამხედრო ხარჯის თავის თავზე მიღება. რუსეთი ვერ ეთანხმება ამ პირობებზე და აქედამ წარმოსდგება ის, რომ სერბია აღარ იგვიანებს ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას.“

ნარევი

თავის გამოჩენილი მანიფესტი საფრანგეთის რესპუბლიკის ახლანდელ პრეზიდენტს მარშალ მაკ-მაჰონს თორმეტი მილიონი ეგზემპლიარი დაურიგებია იმ განზრახვით, რომ ყოველ მეკენჭეს თითო ეგზემპლიარი არგუნოს, წააკითხოს და ამ ნაირად იმ კანდიდატებისაკენ მიიმხროს, რომელნიც მმართებლობამ დანიშნა.

ერთმა უსაქმო კაცმა გამოიანგარიშა თურმე, რომ ეს დაბეჭდილი თაბახები მანიფესტისა რომ ერთი მეორეზე მიაწყო და გაამწკრივო, ათას ხუთს ვერსს სივრცეს გასწვდებაო, ე. ი. პარიჟიდამ რომ დაიწყო, ამერიკამდინ (ნიუ-იორკამდინ) მივაო.

ეს მანიფესტი მთავრობამ სულ მუქთად დაარიგა მთელს საფრანგეთში. მაგრამ, რადგან მომეტებულ ნაწილ მკენჭეებმა უკანვე დაუბრუნეს მაკ-მაჰონს ეს მანიფესტი, გამოვიდა, რომ ეს ამდენი ქაღალდი და ამ ამდენი სახალხო ფული სულ ტყუილ-უბრალოთ დახარჯულა.

* * *

ციდევ პლევნის ჩინებულად დამცველის ოსმან-ფაშის ვინაობაზედ იწერებიან. ახლა კი ცხადათ დამტკიცდა, რომ ეს გამოჩენილი სარდალი არც ამერიკელი ყოფილა, არც ფრანცუზი ბაზენი, არამედ მცირე აზიელი ნამდვილი მაჰმადიანი. ის ჯერ კიდევ ახალგაზდა კაცი არის თურმე; ჩინებულად განათლებული, თუმცა ევროპა თავის დღეში არ უნახავს, სტამბოლის სამხედრო აკადემიაში დაუსრულებია სწავლა. მაღალი ტანის, სასიამოვნო შესახედავი კაცი არისო, ცოცხალი თვალები აქვს და შავი წვერ-ულვაშიო. იმის მხნეობა და სტრატეგიული ნიჭი მთელს ოსმალოს არმიაში განთქმულია თურმე.

* * *

ჩვენ მივიღეთ აფხაზეთიდამ შემდეგი საინტერესო წერილი ამ სათაურით:

„ძაღლი — თვითონ უფასოთ, კუდი კი ორ შაურად!

„უფ. რედაქტორო, თქვენი მტერია, ჩვენ რომ დღეს შისში ვართ იმ ძაღლების გამო, რომელ-

ნიც გადმოცვინდნენ აღებულ აუხაზეთიდგან ოქუმში.

„უთვალავი დამშეული, უპატრონო ძაღლები, ხროვა-ხროვა ათასობით დაწანწალობენ. სახლიდამ ცოტა მოშორებით გასვლა არ შეგვიძლია იმ ძაღლების გამო. ერთბაშათ ერთიანათ შამოგვიტეეენ და ამტანი დამშეული და გამგელებული პირიდამ გადარჩენა ძნელია.

„ღამით კი საშინლად ზუვიან, ჭყავიან, თითქო დასტირიან თავიანთ დაკარგულ პატრონებს, აფხაზებს; და ამ ნაირად არც ღამით გვაძლევენ ძილს და არც დღისით მოსვენებას.

„ერთის სიტყვით, უნდა მოგახსენოთ, რომ ძლიერ შეწუხებული ვართ; მაგრამ იმედი გვაქვს რომ მალე მოვიშოროთ თავიდამ ეს ძაღლები ორნაირირ საშუალებით:

„ერთი ის, რომ ისეთს იმერეთისაკენ მიმავალ კაცს ვერ ნახავთ, რომ ხუთი ან ათი ამ ძაღლებთაგანი არ მიჰყავდეს დასარქული შინისაკენ.

„მეორე საშუალება კიდენ უკეთესია: გამოვიდა ბძანება ადგილობრივი მთავრობისაგან, რომ ვინც ამ გვარ ძაღლებს ღახოცს და რამდენ კუდსაც მიუტანს დანიშნულ კაცს, იმდენს ორ-ორ შაურს მისცემენ; ტყვია წამალი და თოფიც მათგან ეძლევათ.

„ამნაირად დაიმედებული ვართ, რომ ამ საშინელ და ახირებულ მოვლენისაგან გადავრჩებით. მაგრამ, როცა ამათი ზუვილი მესმის და ამათ ასე გროვა-გროვათ, უპატრონოთ, კუდ-ამოძუებულსა და ყურებ-ჩამოყრილებს ვხედავ, მართალი გითხრათ—როგორღაც გული მიღონდება, მებრალება და იმას უფრო ვნატრულობ, რომ იმერლებმა და მეგრელებმა ცოცხალი წაიყვანონ ეს ძაღლები, რომელთაგან ბევრი ძალიან კარგი მოდგმისანი არიან...

ს. ქაკაბაძე

ოქუმი, 30 ენკენისთვეს

განცხადებანი

პატივი მაქვს გამოუცხადო თფილისის საზოგადოებას, რომ მე ვაკეთებ საუკეთესო შაესა და ფერად-ფერად

მელანს და აგრეთვე ეყიდი წაღებისა და ეკიპაჟების ბორბლებისათვის ისეთს **მაზს** რომ **წყალი ვერ გაატანს.** ერთს ბოთლს მელანს ეყიდი, უბოთლოთ 50 კაპ, ბოთლიანათ 60 კაპ.

მსურველს შეუძლია ამ ადრესით მიმმართოს: არწრუნის ქარავასლაში, № 85

სტეფან ხუდადოვი

დაიბეჭდა და გამოვიდა

ოქის სიმღერა

და სხვა ლექსები. ფასი ყველგან ერთი შაური. თქმული **დავით ბივიშვილისაგან.**

ბანოვის ქუჩაზე, იაგორ მირზოევის სახლებში გავაღე ახალი მოდის მაღაზია. ვკერავ ქალის კაბებს, ტალმებს და შუბკებს, აგრეთვე ახალი მოდის დასახურავებსა და ჩასაცმელებს და საზოგადოთ ქალის ყოველ გვარ ტანისამოსს **ხელ-ფასს ვიღებ სინიდისიანათ.**

გაბრიელ თოროლმახოვი

ქართული სახალხო სიმღერები

შეგროვილი და გამოცემული
ზაქ. ჭიჭინაძისაგან.
წიგნი პირველი.
ფასი ყველგან ერთი შაური

გამოვიდა ამ დღეებში

წესდება

სასჯელთაზედა რომელთაცა გადასწყვეტენ მომრიგებელნი მსაჯულნი.

ქასსაციონი განაჩენებითა და

„თამგაქიას წესდება“

ისყიდება თ ფ ი ლ ი ს ში, ტერ-ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ქ უ თ ა ი ს ში ტერ-ბრიქუროვის აგენტთან და ს ი ღ ნ ა ღ ში უ. ნ. ბამრეკელთან.

გაკვეთილები

ოეორეტიულის და პრაქტიკულის

ბუღალტერიისა

ორ-გვარის ანუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, სავაჭრო, კომისიურის და აგრეთვე **სავაჭრო არითმეტიკისა.**

ადრესი: ლაბორატორიის ქუჩა, ნამესტნიკის ბაღის პირ-და-პირ, პაროვის სახლებში, № 14.

ქუთაისში მიიღებენ უმაწვილებს

საშუალ სასწავლებლების მესამე კლასამდინ **მოსამზადებელად.**

მსურველს შეუძლიან იკითხოს „ქ ო ლ ხ ი დ ი ს“ სასტუმროში **ადამ დიუპონი.**

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაიდანზე, **წინამძღვაროვის** სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, **დილის** 8 საათიდამ **დილიხვე** 10 **საათამდინ.**

ო რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი **მინკიევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი** და **ლ**ისიცევი—**შინაგანი ავათმყოფობისათვის.**

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და **მარკაროვი**—**შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი**—**თვალის** ექიმი.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—**შინაგანი ავათ**მყოფ., **ქიუჩარიანცი**—**ვენერიული ავათმყოფობისათვის.**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—**შინაგან ავათმყოფობისათვის.**

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცევი და **ასატუროვი**—**შინაგანი ავათმყოფობისათვის** და **მინკევიჩი**—**ხირურგიულისთვის.**

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და **მარკაროვი**—**შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი**—**ყურის** და **ხირურგიულ ავათმყოფობისათვის** და **თამამშევი**—**თვალის ავათმყოფობის**

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ქვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია.	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი.	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ქვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი.	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნალს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 29 ენკენის.		
ერთი ინგლისი ღირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 250 სანტიმი.	—	81
ესკონტი(სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	50
მოგებიანი(პირველისესხი)	207	25
მოგებიანი (მეორე ესესხი)	202	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5%	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
ქავკაზის და მერკურის. .	225	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 3 ღვინობ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა,ფუთ.	1	90
ფქვილი წითელი. . .	1	45
ქერი ფუთი. . . .	1	25
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	20
—ამერიკისა, ფუთი. .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუ.	9	50
მატყლი თუშური ფუ.	7	—
—თარაქამისა ფუ. .	3	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	54
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	63
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	20
—ფხვნილი ფუთი . .	7	20
ყავა გრგვალი, ფუთი .	26	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	8	28

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Октября 1877 г. Типографія Меликова. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.